სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

30 აპრილი 2024

N 102

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კონკურსის „ეროვნული კინოგაქირავების დაფინანსება“ გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებისა და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 30 აპრილის №1-185 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. 2024 წლის 30 აპრილს, გამოცხადდეს კონკურსი „ეროვნული კინოგაქირავების დაფინანსება“ და დამტკიცდეს საკონკურსო პირობები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ELECTRONIC SIGNATURE • QUALIFIED